www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 4 დეკემბერი, 2009 წელი. №265 (2303) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პარიზის ღვთისმშობლის მეჩეთი?

A8



პიკასოს გრავიურები და „27 წლის თაობა„

A10



აირჩიე დეკადის საუკეთესო გუნდი

A13



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
HYUNDAI

# წვლილი საერთო უსაფრთხოებაში

დათო გამისონია

*ბრიუსელში მიმდინარე ნატო-ს მინისტერიალზე საქართველოს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. გუშინ ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა თავდაპირველად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან 45-წუთიანი შეხვედრა გამართა, შემდეგ კი ნატო-საქართველოს სხდომა გახსნა და ქვეყნის მიერ შესრულებული ვალდებულებების შესახებ მოხსენება მოისმინა.*

გუშინ, ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიების სხდომების დაწყებამდე, ალიანსის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ პრეს-კონფერენცია გამართა.

გაგრძელება A2 გვერდზე



# დებატები ბარიერის გარშემო

ეკა ჯანაშია

ხელისუფლებასა და ოპოზიაციას შორის მერის არჩევის საკითხზე გამართული კონსულტაციებისას განხეთქილების მთავარ მიზეზად ბარიერის საკითხი იქცა. კონსულტაციებზე დამსწრე მცირე ოპოზიციური სპექტრიდან ყველაზე მსხვილი - "ალიანსი საქართველოსთვის" 50-პროცენტიანი ბარიერის შემოღებას ითხოვდა. მიუხედავად მათი პროტესტისა, საარჩევნო ცვლილებები კონსულტაციების შედეგად პარლამენტში განსახილველად შევიდა. სავარაუდოდ, საბოლოოდ შეთანხმებული 30-პროცენტიანი ბარიერი ძალაში დარჩება და მალე კანონის სახეს მიიღებს. ორივე ბანაკი საკუთარი პოზიცების დასაბუთებისას დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებაზე აპელირებს. ალასანიას გუნდი 30-პროცენტიანი ბარიერის შემოღების გამო ხელისუფლებას არადემოკრატიულს და ავტორიტარიზმისკენ მიმართულს უწოდებს. "ხელისუფლებამ უარი თქვა დემოკრატიული თამაშის წესებზე," - განაცხადა ალასანიამ მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, თუმცა საბოლოოდ მცირე კომპრომისზე წავიდა და ბარიერის 44 პროცენტამდე ჩამოწევას დათანხმდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართული ისტორია ესპანელებისგან

## თბილისის კინოფესტივალი იტალიიდან ინდოეთის გავლით

ია ვეკუა

2008 წლის საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომი სწორედ ის თემატიკა აღმოჩნდა, რომელიც თბილისის მეათე საერთაშორისო კინოფესტივალზე ყველაზე მასშტაბურად გაიშალა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მსგავსი მოვლენები ყოველთვის ტოვებს უამრავ აუხსნელ კითხვას თუ განცდას, რომლებიც ადამიანის გონებაში ილექება და რაღაც ფორმით მაინც პოულობს გამოხატულებას - კინემატოგრაფისტები მათზე ფილმებს იღებენ.

საფესტივალო პროგრამაში აგვისტოს მოვლენებისადმი მიძღვნილი რამდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმია ჩართული. მათ შორისაა ნინო კირთაძის "ზოგი რამ საქართველოს შესახებ", ჯონ ფილპის "მიშა მოსკოვის წინააღმდეგ: ბრძოლა საქართველოს მომავლისთვის", შალვა მიქუტიშვილის "ახალი 2009 წელი", ზაზა რუსაძის "ნაკეცები და ბზარები", სალომე ჯაშის "დადუმებულები" და შალვა შენგელის "უცნობი ჯარისკა-

გაგრძელება A9 გვერდზე



"ორი"

## ადვოკატები პარლამენტის წევრებს აფრასიძეების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ

ადვოკატები პარლამენტის წევრებს აფრასიძეების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ.

სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ 2 დღის წინ პლენარულ სხდომაზე გაკეთებული განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა დაარღვია აფრასიძეების უფლებები, როდესაც მათ პირდაპირ დასდო ბრალი ყაჩაღობებში, ადამიანების გატაცებებსა და მკვლელობებში.

ადვოკატის განმარტებით, არც ერთ იმ დანაშაულში, რაც ცისკარიშვილმა ახსენა, აფრასიძეები ბრალდებულები არ ყოფილან. მისი თქმით, მათ მსჯავრი დაედოთ პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში და მკვლელობაში, რომელიც ადვოკატის აზრით, არ უდასტურდებათ.

ადვოკატის თქმით, აფრასიძეების ოჯახზე სამხედრო პოლიციური შტურმი 1000 კაცის და 12 ვერტმფრენის მიერ 2003 წელს განხორციელდა. ოპერაციას ოჯახის 2 წევრი ემსხვერპლა. 2 ძმა შმაგი და გოჩა აფრასიძეები კი დააკავეს. ადვოკატები ამ საქმეში ევროკონვენციის რამედნიმე მუხლის დარღვევის დადგენას ითხოვენ.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, გუშინვე ადვოკატებმა ახალი სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში გააკრიტიკეს. მათი განცხადებით, ტუღუშმა ოფისში პრესკონფერენციის ჩატარების უფლება არ მისცა და აღნიშნა, რომ ახლა სხვა დროა. ადვოკატების თქმით, სოზარ სუბარის დროს არა მხოლოდ მათ, არამედ სხვა დამცველებსაც, ამის საშუალება ჰქონდათ.

"უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია და უფლებადამცველები ახლაც ატარებენ პრესკონფერენციებს და ეთმობათ ოფისი. ამას თავისი წესი აქვს: უნდა მოგვმართონ წერილობით, სადაც დაკონკრეტებული იქნება პრესკონფერენციის მიზანი, ხანგრძლივობა და თარიღი. თუკი წინააღმდეგობაში არ მოდის ჩვენს მანდატთან, კერძოდ, სამოქალაქო განათლებასთან და უფლებადაცვასთან, ოფისი უპრობლემოდ ეთმობათ, თუ არის საშუალება და სხვა არაფერია დაგეგმილი", - გამოეხმაურნენ ადვოკატებს სახალხო დამცველის ოფისიდან.

## "ქრისტიან-დემოკრატები" შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის დაფინანსების შენარჩუნებას ითხოვენ

საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის დაფინანსების შენარჩუნებას ითხოვს, - იუწყება სააგენტო "ინტერპრესნიუსი".

ამის შესახებ "ქრისტიან-დემოკრატმა" მაგდა ანიკაშვილმა გუშინ შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, 3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. სწორედ ამ დღეს "ქრისტიან-დემოკრატები" იმ ცვლილებას აპროტესტებდნენ, რომელსაც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ინვალიდების დღის ცენტრებთან მიმართებაში აპირებს განახორციელოს. მაგდა ანიკაშვილის ინფორმაციით, ხელისუფლებას სურს, რომ დღის ცენტრით სარგებლობის ვაუჩერი მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეებს მისცეს.

"ქრისტიან-დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ ამ გადაწყვეტილებით ასობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაფინანსების მიღმა დარჩება. ეს მაშინ, როდესაც დღის ცენტრები მათთვის ერთადერთი კავშირია გარე სამყაროსთან.

ანიკაშვილმა აღნიშნა, რომ უმწეოთა დახმარების პროგრამას ისედაც ძალიან ბევრი მეთოდოლოგიისთვის დამახასიათებელი ხარვეზი აქვს. ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმით დაწყებული მეთოდოლოგიისთვის დამახასიათებელი ცდომილების მაღალი პროცენტით დამთავრებული. სწორედ ამიტომ, "ქრისტიან-დემოკრატებს" მიაჩნიათ, რომ ინვალიდთა ამ კრიტერიუმით - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა შერჩევა არ იქნება სანდო და ობიექტური და დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, "ქრისტიან-დემოკრატები" მოითხოვენ, რომ ყველა ინვალიდს, რომელიც სარგებლობს დღის ცენტრების მომსახურებით, დაფინანსება შეუნარჩუნდეს და მათთვის, ვინც ამ მომსახურების მიღმაა დარჩენილი, დამატებითი სახსრები გამოიყოს.

"დღეს სრულდება ერთი წელი, რაც პარლამენტმა მიიღო დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის შესახებ. რომლის თანახმადაც, მთავრობას 2009 წლის 1 ნოემბრამდე უნდა წარმოედგინა ამ დადგენილების საფუძველზე საკანონმდებლო ინიციატივები", - განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა და აღნიშნა, რომ არც ერთი წინადადება მთავრობის მხრიდან პარლამენტში ჯერჯერობით შემოსული არ არის.

"როგორც ჩანს, ეს კონცეპცია დარჩება ქაღალდზე დაწერილ კეთილ სურვილებად, რადგან მთავრობის გადაწყვეტილებები პარლამენტის მიერ დადგენილ პრინციპებს ეწინააღმდეგება", - დასძინა "ქრისტიან-დემოკრატმა" დეპუტატმა.

# წვლილი საერთო უსაფრთხოებაში

პირველი გვერდიდან

მაშინ, როცა მთელი მსოფლიო პრესა შეერთებული შტატების მიერ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაზრდაზე ალაპარაკდა, ბრიუსელში არაერთხელ გამახვილდა ყურადღება ავღანეთში აისაფის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე. ავღანეთში საქართველოს სამხედროთა ასეული ნოემბრიდან იმყოფება, 2010 წლის გაზაფხულზე კი იქ ბატალიონი გაემგზავრება. აპატურაიმ ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობისთვის საქართველოს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი, ნატო-ს წევრი ქვეყნების სახელით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა. **"ამ საკითხში ნატო უკან არ დაიხევს,"** - აღნიშნა ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

გარდა ამისა, მან ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიების სხდომებზე განსახილველი საკითხების განმარტება გააკეთა: **"საუბარი გვექნება ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამაზე, კერძოდ, როგორ ასრულებენ ისინი აღებულ ვალდებულებებს."** ამავდროულად, ჯეიმს აპატურაიმ ალიანსის დღევანდელ პოზიციაზე ისაუბრა. მისი თქმით, **"ორივე ქვეყნის მიმართ ალიანსის წევრმა ქვეყნებმა თავიანთი პოზიცია გამოხატეს, კერძოდ ის, რომ ნატო ბუქარესტის სამიტის პრინციპების ერთგული რჩება. ასე რომ, ორივე ქვეყანა ნატო-ს წევრი გახდება, თუმცა ეს მაშინ მოხდება, როდესაც ისინი ალიანსის სტანდარტებს მიაღწევენ."**

ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს ბრიუსელში მინისტერიალის ფარგლებში ხანგრძლივი კონსულტაციები ჰქონდათ, სადაც ბოსნია და ჰერცეგოვინის, ჩერნოგორიის, საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების შეთავაზებებზე მსჯელობდნენ. დიპლომატების ინფორმაციით, შესაძლოა, ბრიუსელის სამიტზე ჩერნოგორიამ მიიღოს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, ხოლო ბოსნია ზედმეტად არასტაბილურ ქვეყნად მიიჩნევა, რათა მას ამ ეტაპზე მაპ-ი შესთავაზონ. რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას, ქვეყნების მიერ შესრულებული ვალდებულებები ალიანსის ხელმძღვანელობამ კომისიების ფარგლებში მოისმინა. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დაწყებამდე გამართულ პირისპირ შეხვედრაზე გრიგოლ ვაშაძემ და ანდრეს ფოგ რასმუსენმა ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციის პერსპექტივები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება დეტალურად განიხილეს. მოლაპარაკებების შემდეგ მინისტრმა ვაშაძემ განაცხადა: **"ვილაპარაკეთ იმ გამოცდაზე, რომელსაც თავისუფალი სამყარო ახლა ავღანეთში აბარებს. ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ნატო-ს ყველა წევრი ქვეყნის სახელით, მან საქართველოს წვლილის გამო მადლობა მითხრა. ცნობილია, რომ ავღანეთში, მოკავშირეებთან ერთად, 900-ზე მეტი ჩვენი სამხედრო მოსამსახურე იქნება. აგრეთვე, ვისაუბრეთ ჩვენს რეგიონში, განსაკუთრებით - ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სიტუაციაზე. გარდა ამისა, იმ ხელშეკრულებებზე და ვალდებულებებზე, რომლებსაც რუსეთი, სამწუხაროდ, დღემდე არ ასრულებს."** შეხვედრაზე რასმუსენი ვაშაძეს დაჰპირდა, რომ მოსკოვში ვიზიტის დროს აუცილებლად დააყენებს საქართველოს დეოკუპაციის საკითხს.

დღეს კი ბრიუსელში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური შეხვედრაა დაგეგმილი. კერძოდ, ნატო-ს შტაბბინას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ეწვევა და ალიანსის გენერალურ მდივანთან მოლაპარაკებებს გამართავს. თუმცა, რუსეთის მხარესთან შეხვედრამდე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა საქართველოს მიერ ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შესრულების 2009 წლის შედეგები კომისიაზე მოისმინა.

გუშინ, თბილისის დროით 20:00-ზე, ალიანსის შტაბ-ბინაში რასმუსენმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გახსნა. მან განაცხადა, რომ **"პროგრამა ის ჩარჩოა, რომელშიც ჩვენ ერთად ვმუშაობთ. სწორედ აქ ვახდენთ რეფორმებზე, პოლიტიკურ სფეროსა და სამხედრო მიმართულებაზე ფოკუსირებას. ნატო საქართველოს ეხმარებოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც ქართველებზეა დამოკიდებული. საბოლოოდ წარმატებას მათ თავად უნდა მიაღწიონ."** რასმუსენის თქმით, იმედის მომცემია საქართველოს მიერ გაწეული სამუშაოს შედეგები. მან საქართველოს საჯაროდ გადაუხადა მადლობა ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობისთვის. გენმდივანმა განმარტა, რომ ავღანეთი პრობლემატური ქვეყანაა, მრავალი გამოწვევით. რასმუსენის განცხადებით, **"საქართველოს გადაწყვეტილება მძლავრი სიგნალია - ყველაფერი გააკეთოს, რათა იყოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი. ნატო და საქართველო ორმხრივი მოკავშირეები არიან და ვალდებულებებს კოლექტიურად კისრულობენ. ალიანსი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას."** რასმუსენმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. მისი თქმით, **"საქართველოს რეგიონში უსაფრთხოების კლიმატი არამყარია, ეს სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა შესაბამის მხარეს."** რასმუსენმა საქართველოს დელეგაციას მიმართა: **"ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ თქვენს ქვეყანას ბოლო წლების განმავლობაში ძალიან მძიმე განსაცდელის ატანა მოუხდა. მომავალშიც ძალიან ბევრი პრობლემები გელოდებათ, დიდი ადამიანური ტკივილი ჯერ კიდევ მოსაშუშებელია, მაგრამ რეფორმები, მოდერნიზაციის პროცესი და შემართება, რომ გაუმჯობესდეს მეზობლური ურთიერთობები უკეთესი მომავლისთვის, საუკეთესო პერსპექტივებს გაძლევთ."**

უსაფრთხოების საკითხებზე საუბრის გარდა, რასმუსენმა ქვეყნის შიდა პრობლემებზე შეაჩერა ყურადღება. მან ქართულ მხარეს დაუდასტურა, რომ ნატო მხარს დაუჭერს ქვეყანაში რეფორმების გატარებას.

რასმუსენის სიტყვის დასრულების შემდეგ, ვიდრე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა დახურულ რეჟიმში გააგრძელებდა მუშაობას, კომისიის სხდომის მთავარმა მომხსენებელმა გრიგოლ ვაშაძემ ეროვნული სამოქმედო პროგრამის პირველი წლის შედეგებზე ისაუბრა. ვაშაძის თქმით, **"2009 წლის შედეგების მიხედვით სერიოზული მიღწევები გვაქვს. კერძოდ, ამ ხნის განმავლობაში დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერდა და ეს მიზანი ჩემი მთავრობისთვის მთავარი პრიორიტეტი იქნება. მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ თვალსაზრისით პროგრესი იყო მიღწეული და ჩვენ 2010 წელს რეფორმებს გავატარებთ, რათა მოთხოვნები შევასრულოთ."**

# კითხვები პატრიარქს და ხელისუფლებას

მარი ახსიაშვილი

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა საქართველოს ხელისუფლებას და პატრიარქს კითხვები გაუგზავნა. შეკითხვების შემუშავებაში ჩართულმა ადამიანებმა პრესკონფერენცია გუშინ, იოანე პეტრიწის ძეგლთან გამართეს.

შეკითხვების ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა სეკულარული სახელმწიფოს ძირეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება და ეკლესია ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში. როგორც ავტორები აღნიშნავენ, სწორედ ამის გამო შეადგინეს კითხვები და ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის.

**"ის კითხვები, რაც ამ მიმართვებში წერია, ბოლო ერთი თვის მანძილზე მიმდინარე ინტერნეტ-დისკუსიების დროს არის დასმული. ეს ის საკითხებია, რომლებიც საჯარო განხილვის თემა იყო ფორუმებსა თუ facebook-ზე. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ კითხვებს ვსვამთ, საზოგადოებას კი აქვს კითხვის დასმის უფლება. ჩვენ გადავცემთ ამ კითხვებს საპატრიარქოსაც და პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც და მათ პასუხს დაველოდებით. თუ არ გვიპასუხებენ და "დააიგნორებენ", ჩვენთვის ესეც პასუხი იქნება,"** - აცხადებს თავისუფლების ინსტიტუტის წევრი თეა თუთბერიძე.

პრესკონფერენციაზე ორივე მიმართვის წაკითხვას გეგმავდნენ, თუმცა იმ დროს, როდესაც დავით ამირეჯიბმა მიმართვის პირველი ნაწილის კითხვა დაიწყო, პეტრიწის ძეგლთან რამდენიმე ახალგაზრდა მივიდა, რომლებიც საკუთარ თავს საქართველოს ეკლესიის წევრებად მოიხსენიებდნენ. ისინი გამომსვლელების პარალელურად ყვიროდნენ და აღნიშნულ მიმართვებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქის დისკრედიტაციისთვის წინასწარ დაგეგმილ კამპანიას უწოდებდნენ. "იუდა ისკარიოტელო", "30 ვერცხლი ლარებში რამდენია", "გრანტიჭამიებო", - ამ და სხვა სიტყვებით მიმართავდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის ახალგაზრდა წევრები პრესკონფერენციის ორგანიზატორებს.

**"ესენი უმცირესობის დაცვის საბაბით ახდენენ უმრავლესობის დისკრიმინაციას. ფერიის მთაზე ეკლესია რომ დაანგრიეს, მაშინ რატომ არ დაუდგნენ მართლმადიდებელ ეკლესიას გვერდში. ბექა მინდიაშვილი სექსუალური და რელიგიური უმცირესობების დაცვაშია შემჩნეული და ქართულ ეკლესიაზე ლაპარაკის უფლება არა აქვს,"** - განაცხადა მართლმადიდებელი ეკლესიის ახალგაზრდა წევრმა ზვიად ბლიაძემ.

მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერის და ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელ ბექა მინდიაშვილის თქმით, **"საზოგადოებას კითხვები ყოველთვის უჩნდება. ჩვენ გვაქვს კითხვები მთავრობასთან ეკლესიის დაფინანსების შესახებ. ასევე, რელიგიურ დისკრიმინაციაზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ სხვა რელიგიური გაერთიანებები არ სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია".**

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი პატრიარქისგან ითხოვს, პასუხი გასცეს კითხვებს: რა კავშირი არსებობდა საქართველოს საპატრიარქოსა და საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს შორის; მართლა ითამაშა თუ არა გადამწყვეტი როლი საბჭოთა ხელისუფლებამ მის პატრიარქად არჩევაში; იყვნენ თუ არა საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირებს შორის საბჭოთა სუკ-ის აგენტები და თავად ილია მეორე თანამშრომლობდა თუ არა მასთან; მიმართვის ავტორებს ასევე აინტერესებთ, რა ურთიერთკავშირი არსებობს საქართველოს საპატრიარქოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ამჟამად და რა მიზანს ემსახურება საქართველოს ეკლესიის იერარქების შეხვედრები კარასინთან, შვიდკოისთან, კოვალენკოსთან; ასევე, პატრიარქი სათანადოდ რატომ არ აპროტესტებს მოსკოვის საპატრიარქოს მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საეკლესიო ოკუპაციას და სხვ.

შეკითხვების ერთ-ერთი ავტორის, ვასილ კობახიძის განცხადებით, თითოეული კითხვა არგუმენტირებულია და სხვადასხვა დოკუმენტების მიხედვით არის შედგენილი.

**"ვეყრდნობით ზვიად გამსახურდიას დროს გამოქვეყნებულ საქმეთა ნაწილს, ასევე საბჭოთა კავშირის დროინდელ არქივებს, საპატრიარქოს სხვადასხვა დეპარტამენტის ბოლოდროინდელ ქმედებებსა და პრორუსულ პროპაგანდას, რომელსაც საქართველოს ეკლესია ახორციელებს,"** - აღნიშნავს კობახიძე.

მეორე მიმართვაში, სადაც კითხვები ხელისუფლების მისამართით არის დასმული, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან ელის პასუხს, თუ რატომ არ იღებენ ლუსტრაციის კანონს, რომელიც სასულიერო პირებსაც შეეხება; რამდენად კანონიერად გადასცეს საპატრიარქოს ძვირი ავტომანქანები და უძრავი ქონება; რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება მართლმადიდებლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე და რატომ დაიწყეს შსს-მ და პროკურატურამ გამოძიება პატრიარქის გამაშარჟებელი ვიდეორგოლების დამზადების და გავრცელების ფაქტზე, მაშინ როცა ასეთი ქმედება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებით არის დაცული; ასევე, რატომ ირღვევა კანონი ზოგადი განათლების შესახებ და რატომ ხდება რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით გამოყენება, პროზელიტიზმი და ინდოქტრინაცია და სხვ.

შეკითხვების ორივე ტექსტს 235 ადამიანი აწერს ხელს. როგორც ავტორები აცხადებენ, საბოლოო ვარიანტი მხოლოდ ერთი დღით იყო ინტერნეტში განთავსებული და ვინც საკუთარი ვინაობის დაფიქსირება მოასწრო, მათი ხელმოწერებია წარმოდგენილი.

პრესკონფერენციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჯერ საპატრიარქოში, შემდეგ კი პრეზიდენტის რეზიდენციაში მივიდნენ და მიმართვები დატოვეს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საპარლამენტო ვნებები საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ

თამარ ივანიძე

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის განხილვა დაიწყო, თუმცა განხილვის ოფიციალურ პროცედურას წინ უძღოდა ოპოზიციის განცხადებები - ნაწილი ამ ცვლილებებს გაემიჯნა, ნაწილმა კი "შეთანხმებული" და "შეუთანხმებელი" პუნქტების გამოყოფა მოითხოვა - თვალსაჩინოებისთვის. გუშინვე შედგა მორიგი შეთანხმება საარჩევნო კოდექსის რამდენიმე საკითხზე.*

საპარლამენტო განხილვამდე ცნობილი გახდა, რომ "ქართული დასი" პარლამენტში განსახილველად შეტანილ ახალ საარჩევნო კანონპროექტს ემიჯნება. როგორც

სპეციალურ პრესკონფერენციაზე NDI-ს ფორმატში საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის წევრმა, "ქართული დასის" წარმომადგენელმა გიორგი ბაშარულმა განმარტა, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ხელისუფლების მხრიდან პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმებების დარღვევაა, მათ შორის - საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება თანაფარდობით 7/6-ზე.

**"NDI-ს ეგიდით საარჩევნო ჯგუფის ფორმატში მიღწეული შეთანხმებები დაირღვა. პარლამენტში წარდგენილია საარჩევნო კოდექსში შესატანი ისეთი ცვლილებები, რომლებიც პარტიებს შორის არსებული შეთახმებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ხელისუფლება კვლავ ინარჩუნებს სრულ კონტროლს ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში თანაფარდობით 7/6-ზე. ასევე შეთანხმების დარღვევით არის წარმოდგენილი ცვლილება, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლებამოსილების შეწყვეტის გარეშე თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევა,"** - განაცხადა ბაშარულმა. მისივე თქმით, "საარჩევნო ადმინისტრაციის 7/7-ზე თანაფარდობით დაკომპლექტების ინიციატივა NDI-ს ფორმატში მომუშავე ჯგუფის მუშაობის დაწყებისთანავე თავად ხელისუფლების მხრიდან წამოვიდა, თუმცა ამჯერად ხელისუფლებამ ეს შეთანხმებაც დაარღვია.

ამიტომ "ქართული დასის" წარმომადგენელი აცხადებს, რომ "დასი" პრინციპულად მოითხოვს ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პარიტეტს, ამიტომ, აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ კანონპროექტს ემიჯნება და პარლამენტს საკუთარ ვარიანტს წარუდგენს.

სანამ ჯონდი ბაღათურიას პარტია საკანონმდებლო ცვლილებების ახალი პაკეტის შექმნით არის დაკავებული, საპარლამენტო ოპოზიციის სხვა წევრები უმრავლესობის წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ და ხელისუფლებასთან საარჩევნო კანონმდებლობის რამდენიმე ახალ პრინციპზე შეთანხმებაც მოახერხეს.

კონსულტაციები იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის კაბინეტში გაიმართა.

ახალი შეთანხმების თანახმად, საარჩევნო უბანი გახსნილად გამოცხადდება, თუ დილით, 07:00 საათზე, უბანზე მისული იქნება კომისიის არანაკლებ 7 წევრი, ნაცვლად 5-ისა. ამ მოთხოვნაზე ოპოზიციის არგუმენტი ის არის, რომ საარჩევნო უბანი კომისიის წევრი ოპოზიციის წარმომადგენლის დაუსწრებლად არ გაიხსნას.

ამასთან, კანონპროექტში ეწერა, რომ თუ არჩევნების დღეს კომისიის რომელიმე წევრი არ გამოცხადდება, მის ადგილს კომისიის მდივანი იკავებს და რეგისტრაციას ახორციელებს. ოპოზიციის მოთხოვნით კი ეს ნორმა ამოღებულ იქნა, რათა მდივანს, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენელია, საკუთარი მოვალეობის შესრულებაში ხელი არ შეეშალოს.

გარდა ამისა, ოპოზიციის მოთხოვნით, კანონში ისიც ჩაიწერება, რომ თუ კომისიის წევრს განსხვავებული პოზიცია აქვს, ოქმზე ხელმოწერისას ეს აუცილებლად დაიფიქსირდება. აქამდე ეს ნორმა არ არსებობდა და ცალკე უნდა დაწერილიყო ის პრეტენზია, რაც კომისიის წევრს გააჩნდა.

ასევე შევა ცვლილება, რომლის თანახმად, კომისია ვალდებული იქნება, ოქმი გადასცეს პარტიის წევრს საარჩევნო კომისიაში. არსებული კანონპროექტის თანახმად კი, ოქმი გადაეცემა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის და პარტიის წარმომადგენელს.

თუმცა, საარჩევნო ცვლილებებში, ცხადია, ყველა საკითხის შეთანხმება ვერც დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე მოხერხდა. შესაბამისად, უკვე ოფიციალურ განხილვაზე, რომელიც სამი საპარლამენტო კომიტეტის გაერთიანებული სხდომის ფორმატში მიმდინარეობდა, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებში იმ საკითხების გამიჯვნა და დემონსტრირება სთხოვეს, თუ რომელია შეთანხმების საგანი და რომელი არა. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა. მისი თქმით, პროექტში გათვალისწინებული ცვლილებებიდან მხოლოდ მცირედია მართლაც შეთანხმების ნაწილი და საზოგადოება ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს.

ვეფხვაძის პოზიციას იზიარებს ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილიც. მან იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილს მიმართა, რომ პლენარულ სხდომაზე დაგეგმილი განხილვისთვის დეპუტატებს შეთანხმებული საკითხების შესახებ ინფორმაცია ცალკე დოკუმენტად დაურიგდეთ.

პავლე კუბლაშვილი ოპოზიციონერ კოლეგებს დაეთანხმა და დაჰპირდა, რომ დეპუტატებისთვისაც და ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილი იქნება, თუ რომელი საკითხებია შეთანხმების საგანი და რომელი არა.

"24 საათი" შეთანხმებული დეტალების შესახებ დაწვრილებით უკვე წერდა. ცნობისათვის - "საარჩევნო კოდექსის" ცვლილების პროექტში შეთანხმებული საკითხებია სპეცუბნები, საარჩევნო უბნებზე მდივნად ოპოზიციის წარმომადგენლების დანიშვნა, დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევა, საკრებულოს არჩევის წესი, გასაჩივრების ვადის 48 საათამდე გაზრდა და ა.შ.

შეთანხმებული არ ყოფილა პრინციპი, რომელიც მოქმედ დეპუტატს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. ასევე გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით, ეს პრინციპი "საარჩევნო კოდექსის" ცვლილების პროექტში ცალკე მუხლად გაფორმდება. აღნიშნული პრინციპი მხოლოდ კანონპროექტის განმარტებით ბარათში იყო დაფიქსირებული, თუმცა როგორც გუშინ ხელისუფლებისა და ოპოზიციის დახურული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელისუფლება ამ პრინციპის დათმობას არ აპირებს და ნორმა უკვე კანონში ცალკე მუხლად შევა.

# დებატები ბარიერის გარშემო

პირველი გვერდიდან

დისკუსიას ახალი კონტექსტი და განსაკუთრებული სიმწვავე ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორ მარკ მალენის პოზიციამ შესძინა - ის იზიარებს ალასანიას გუნდის პოზიციას: **"50-პროცენტიანი ბარიერი იმ ძალებს არ სურთ, ვინც სუსტია. მთავრობა ამბობს, რომ 30-პროცენტიან ბარიერზე დათანხმებით კომპრომისზე წავიდა, მაგრამ ეს კომპრომისი კი არა, თავის მართლებაა. მთავრობამ 30-პროცენტიანი ბარიერი იმიტომ შემოიღო, რომ იცის, 30 პროცენტს მიიღებს. ასე რომ, 30-პროცენტიანი ბარიერი იგივე ნულპროცენტიანი ბარიერია. საერთაშორისო საზოგადოება ამ საკითხში თავის პოზიციას ხმამაღლა არ გამოთქვამს, მაგრამ ვაშინგტონში, ბრიუსელში, ლონდონსა და ბერლინში თბილისის გადაწყვეტილებას დიდი ყურადღებით განიხილავენ. თუ 50-პროცენტიანი ბარიერი არ დაწესდება, საქართველო მსოფლიოს თვალში სუსტი ქვეყნად წარმოჩინდება და მისი დემოკრატიული იმიჯი სერიოზულად დაზარალდება. ეს იმ დროს, როცა მას ძალიან სჭირდება საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა. კომპრომისი სამართლიან და არასამართლიან არჩევნებს შორის, არ არის კომპრომისი, ეს არის რეგრესი. საარჩევნო ბარიერი უბრალო ტექნიკური საკითხი არ არის, მასზე საქართველოს მომავალი და რეპუტაციაა დამოკიდებული,"** - განაცხადა მარკ მალენმა. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ეს მისი პირადი მოსაზრებაა და არა ორგანიზაცია NDI-ს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსულტაციები სწორედ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ინიციატივით, ამ ორგანიზაციის ოფისში მიმდინარეობდა.

თავის მხრივ, თავისუფლების ინსტიტუტის ლიდერი ლევან რამიშვილი მიიჩნევს, რომ 50-პროცენტიანი ბარიერი მხოლოდ და მხოლოდ ირაკლი ალასანიაზე მორგებული მოდელია.

**"რა შესთავაზა დანარჩენ ოპოზიციას ალასანიამ? რეალურად არაფერი. საერთო კანდიდატზე მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ მან საკუთარი თავი სხვებთან შეუთანხმებლად დაასახელა მერობის, სუბარი კი - საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად.**

**ორტურიანი სისტემის შემოღებით დაინტერესებული იყო მხოლოდ ალასანია, რომელსაც სურდა, დანარჩენი ოპოზიციისთვის რაიმეს დათმობის გარეშე გამხდარიყო ერთიანი კანდიდატი. რაკი მოლაპარაკებებით ამას ვერ მიაღწია, დანარჩენ ოპოზიციონერთა "მოტეხვას" საკუთარ თავზე მორგებული საარჩევნო სისტემით შეეცადა.**

**რისი იმედი უნდა ჰქონოდა დანარჩენ ოპოზიციას მარტივი პლურალისტული სისტემით არჩეულ 25-კაციან საკრებულოში? წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე მოდელირებას თუ გავაკეთებთ, ნაციონალური მოძრაობა, მინიმუმ, 20 ოლქს მოიგებს, დანარჩენი 5 ოლქი კი ოპოზიციური ფლანგის ყველაზე ძლიერ პარტიებს და ბლოკებს შეხვდებოდათ. ანუ, ოპოზიციური სპექტრის უდიდესი ნაწილი თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა.**

**ამ პარტიებისთვის ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციული სიის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. "ნაციონალურმა მოძრაობამ" მათი ეს ინტერესი გაითვალისწინა. რაც შეეხება მერის არჩევის წესს, დანარჩენი ოპოზიციისთვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ჰქონია, მათ ისედაც არ ჰქონდათ მერად საკუთარი კანდიდატის გაყვანის შანსი. თანაც, ალასანიას წარმატება დანარჩენი ოპოზიციის წარუმატებლობაა. ისინი ერთ მოედანაზე, ერთი ელექტორატისთვის ერთმანეთს ებრძვიან და არა "ნაციონალურ მოძრაობას".**

ლევან რამიშვილის თქმით, ადგილობრივი არჩევნების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები დიდი პოლიტიკური თამაშისგან იზოლირებულად არ უნდა იქნეს განხილული. **"ფინანსური თუ ელექტორალური მხარდაჭერის გადანაწილება ცალკეულ ოპოზიციურ ძალებს შორის სწორედ ამ არჩევნების შედეგების გათვალისწინებით მოხდება. თუ რომელიმე ერთმა ძალამ სხვებზე მნიშვნელოვნად მეტი ხმა მიიღო, მაშინ ამ სხვებს გაუჭირდებათ პოტენციური დონორების და ამომრჩევლების დარწმუნება, რომ მათ მხარდაჭერას რაიმე აზრი აქვს. შესაბამისად, ადგილობრივ არჩევნებზე ცუდი რეზულტატი კიდევ უფრო მძიმე შედეგს მოიტანს 2012 და 2013 წლებში,"** - აღნიშნავს რამიშვილი.

## რუსმა მესაზღვრეებმა ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის და რუსეთის მოქალაქეები დააკავეს

რუსმა მესაზღვრეებმა სოფელ არცევთან ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ორი და რუსეთის ერთი მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ სააგენტო "რეს"-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იუწყება. ისინი რუსმა მესაზღვრეებმა "საქართველოს მხრიდან საზღვრის გადაკვეთისას" გუშინწინ, 23:00 საათზე გააჩერეს. დაკავებულებს სატვირთო ავტომობილით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 4,5 ტონა ხილი შეჰქონდათ. შემოწმების შემდეგ დაკავებულები, სატვირთო ავტომობილი და ტვირთი ოს მესაზღვრეებს გადასცეს.

## ეროვნულ ბანკს ორი ახალი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებად არჩილ მესტვირიშვილი და ოთარ ნადარაია დაინიშნენ. როგორც "ინტერპრესნიუსი" ეროვნული ბანკის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 1 დეკემბერს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებად არჩილ მესტვირიშვილის, ოთარ ნადარაიასა და ლაშა ჯუღელის კანდიდატურები დაამტკიცა.

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით, ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს.

## ევროსასამართლოში განაცხადი ორშაბათს შევა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი სახელწოდებით "დაჩი ცაგურია საქართველოს წინააღმდეგ" ორშაბათს შევა.

როგორც "ინტერპრესნიუსი" დაჩი ცაგურიას ადვოკატ მამუკა ნოზაძის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ანალოგიური ხასიათის განაცხადი, რომელიც გამოხატვის თავისუფლების დარღვევას ეხება, უპრეცენდენტოა.

ადვოკატის მტკიცებით, 15 ივნისს, როდესაც თბილისის პოლიციის სამმართველოსთან მშვიდობიანი აქცია დაარბიეს, ცაგურიას გამოხატვის თავისუფლება დაირღვა, რაც ევროკონვენციის მეათე მუხლით არის გარანტირებული. როგორც ადვოკატი ამბობს, აქცია მშვიდობიანი იყო და პოლიციის შენობის ბლოკირებას არ ახდენდა. არც ქუჩაში სატრანსპორტო მოძრაობას აფერხებდა და ამის მტკიცებულებებიც არსებობს. ადვოკატი ასაჩივრებს ასევე ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევას და ამტკიცებს, რომ ცაგურია დროებითი მოთავსების იზოლატორში არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა. მას ასევე არაადამიანურად მოეპყრნენ დაკავების დროს და ამის დამადასტურებელი ფოტო და ვიდეომასალაც არსებობს. გასაჩივრებულია ასევე ევროკონვენციის მეხუთე მუხლი, უკანონო დაკავება. ადვოკატის თქმით, ცაგურიას არ განუმარტეს დაკავებისას მისი უფლებები და მიზეზები.

გასაჩივრებულია ევროკონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევაც, კერძოდ სამართლიანი სასამართლოს უფლება. ადვოკატის განმარტებით, ცაგურიას არც გამოძიების და არც სასამართლოს ეტაპზე დამცველის უფლება არ მიეცა. მამუკა ნოზაძე ასევე ასაჩივრებს ევროკონვენციის მეთერთმეტე მუხლის დარღვევას და განმარტავს, რომ ცაგურიას საქართველოში სამართლიანი დაცვის საშუალებები არ მიეცა. მიმართეს პროკურატურას დამნაშავე პოლიციელების მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით, თუმცა რეაგირება არ მომხდარა.

ცაგურია 15 ივნისს, პოლიციის შენობასთან აქციის დარბევის შემდეგ, ოპოზიციის სხვა აქტივისტებთან ერთად დააკავეს. მას 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.

## სეპარატისტულმა აფხაზეთმა ეკვადორს მიმართა

სეპარატისტულმა აფხაზეთმა დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით ეკვადორს მიმართა.

ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ ღვინჯიას განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს. "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ეკვადორში სამუშაო ვიზიტად მყოფმა სოხუმის დელეგაციამ ქვეყნის პრეზიდენტ რაფაელ კორეას დამოუკიდებლობის ცნობის თხოვნით წერილი და აფხაზეთის ისტორიისა და საქართველოსთან კონფლიქტის ამსახველი მასალები გადასცა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მაქსიმ ღვინჯია ამჟამად ეკვადორში შეხვედრებს მართავს.

# საშველი

## სერიოზული ქალის ცხოვრებიდან

ზაზა ფაჩუაშვილი



სამადლობელ სადღეგრძელოში ყველა, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა მადლიერების დიდი გრძნობით მოვიხსენიე და თავი მოვალედ მივიჩნიე, რომ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფრაზა ფეხზე ამდგარს წარმომეთქვა: "ვიცი, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობაა ოჯახის შექმნა ქვეყნის, ერისა და მოყვრების წინაშე და მე სრულიად შეგნებულად გადავდგი ეს ნაბიჯი". ეს სიტყვები წესით ჩემს ახლად ჯვარდაწერილ ქმარს უნდა ეთქვა, მაგრამ მე დავასწარი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამის თქმის უფლება მე უფრო მქონდა, მეორეც - სამაგიერო გადავუხადე შორეულ დეიდაჩემსა და მის ფავორიტ ჩემს ქმარს. თანაც, ჩვენი კინკილა სტუმრები ისე გაიჭაჭნენ ნეფე-პატარძლის დღეგრძელობისას, რომ მეც კი გამიჩნდა მათი მხარდაჭერის სურვილი.

თავის დროზე ჭიათურიდან ჩამოსულმა მამაჩემმა, უბრალო ინჟინერმა იმდენი მოახერხა, რომ თბილისში ოცი წლის განმავლობაში სამი ბინა დაითრია. ერთი კომუნისტებისგან მიიღო, მეორე - კოოპერატიული აიშენა, მესამე - ეროვნული მოძრაობის წლებში გააჩალიჩა, როცა რუსები და ოსები თავპირისმტვრევით გარბოდნენ აქედან და ბინებს კაპიკებში ჰყიდდნენ. ამრიგად, აწ უკვე გარდაცვლილი მამაჩემის მარიფათით ერთი ოროთახიანი ბინის სრული ბატონ-პატრონი ახალგაზრდობიდანვე გავხდი.

ჩემი უფროსი ძმა სანამ დაწვრილშვილდებოდა, თავისი ხანჯლების ცეხის წყალობით პატარა ფულს კი შოულობდა და სწავლის დამთავრებამდე ცოტა მეც მეხმარებოდა. იგივე რაოდენობის თანხას მერეც კი აკეთებდა, მაგრამ ოთხი შვილის პატრონს ჯიბეში უკვე აღარაფერი ედო. რა დავამთავრე, თავადაც არ ვიცი, რაღაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერიო. ამიტომ სპეციალობა არ მქონდა, მაგრამ ხანჯლების კეთება ისე მეზარებოდა, რომ ერთი უბედური ჟურნალის სარეკლამო აგენტობა ვარჩიე. ვუყურებდი, ვუსმენდი, ვათვალიერებდი ყველაფერს, სადაც შეიძლება რეკლამა ყოფილიყო. ვიწერდი ყველა რეკლამისმკეთებლის კოორდინატებს, ვურეკავდი, დავდიოდი, სოლიდურად დავმათხოვრობდი დედაჩემის შეკერილი "დვოიკით", 10 პროცენტიანი სარგებლისთვის, რაც თვეში სასაცილო თანხას წარმოადგენდა, მაგრამ, სანამ ძალიან მომშივდებოდა, მყოფნიდა. მერე ჩემს ძმასთან გავივლიდი ხოლმე, სადაც ჩემი რძლის გაკეთებულ სადილებს მივირთმევდი და ერთი კვირის საწანწალო ენერგიას ვიღებდი. მარტოობა ისე მიყვარდა, ჩემთვის მოშიებაც კი სასიამოვნო იყო. ასე გადავაბიჯე პირველი და მეორე ახალგაზრდობის ასაკს და მივადექი იმ ზღვარს, რომელზეც მარტოხელა დედობით გათანგული ერთი კინოგმირი ამბობს, ცხოვრება ახლა იწყებაო.

უფულობის გამო დღეში ათ კილომეტრს მაინც გავდიოდი ფეხით, მაგრამ ჩემს პატარა ბინაში რემონტს მაინც ვაკეთებდი. მაშინ სესხების ბუმი იყო და მეც დიდსულოვნად ვისარგებლე სამი ბანკის გალრეჯილი ოფიცრების კეთილგანწყობით. ისე გავხდი, ექიმ ბორმენტალსაც არ დაესიზმრება. სამაგიეროდ გასუქდა ჩემი "მალიარი", რომელიც, თურმე, ჩემი სახელით იღებდა ნისიებს ჩემი კორპუსის "ბუტკიდან" და გამყიდველს ატყუებდა, მალე მოვრჩები, ფულს ავიღებ და ერთბაშად გადაგიხდიო. ისიც ერთბაში ფულის მოლოდინში მთლიანად ანისიავებდა თავის საქონელს. მართალია, იმ ფულის გადახდა მე მომიწია, მაგრამ ერთმა კაცმა მაინც გაიხარა, "ბუტკის" პატრონმა, რომელსაც ასეთი ვაჭრობა ჯერ არ ჰქონია.

სამი წლის შემდეგ, როცა პირველი 6-ათასიანი კრედიტი გავისტუმრე, სესხების სერია გაგრძელდა. რა მექნა, საცოდაობა იყო კაფელ-მეტლახ-პლასტმასებში ჩასმული ქათქათა ბინა სარეცხი მანქანის, გაზქურის, მაცივრის, ტელევიზორის, მტვერსასრუტისა და ცხელი წყლის გარეშე დარჩენილიყო. თანაც ეს "ოხერი" ოფიცრები რეკლამებში ისევ ისე ნაზად იღრიჯებოდნენ. მეორე 4-ათასიანის გასტუმრებას 2 წელი მოვუნდი, თუმცა ამჯერად ჩემი უფროსი ძმა ველარ შევაწუხე. მას უკვე თავისი ორი შვილი ჰყავდა. ამიტომ 4 ათასი ლარის გადახდა უფრო გამიჭირდა, ვიდრე 6 ათასი დოლარის, რომელიც, თითქმის, მთლიანად მან გადამიხადა. ეს მაინც საუკეთესო წლები იყო ჩემს ცხოვრებაში. ნაწანწალები სახლში დავბრუნდებოდი თუ არა, მაშინვე ცარიელ მაცივარს გამოვალებდი და მისი ცისფერი კონტეინერების ბზინვარებით ვძღებოდი. სარეცხ მანქანას, თითქმის, ყოველდღე ვატრიალებდი, მისი თვითმფრინავივით მიმზიდველი ხმა რომ მომესმინა. ვრეცხავდი ყველაფერს, ფეხსაცმლისა და იატაკის ტილოების ჩათვლით და ერთი სული მქონდა, ისევ როდის გაჭუჭყიანდებოდნენ. გაზქურას ვერ ვტვირთავდი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მისი ფერი ჩემი სამზარეულოს ბორდოსფერ ოთხეულში ისე ჯდებოდა, როგორც კატალოგის ვარიანტი და მე ამითაც ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მტვერსასრუტს კი მოსვენებას არ ვაძლევდი. ყოველ დილა-საღამოს კედლებიდან დაწყებული ფეხის ტილოთი დამთავრებული ყველაფერს "ვაპილასოსებდი" და საღამოობით დაქალთანაც ვტრაბახობდი ტელეფონზე ჩემი იდეალური სისუფთავით. ნეტარების გვირგვინი კი ახალი სამსახურის შოვნა იყო, ერთ უცხოურ სასტუმროში, სადაც ნაცნობის რეკომენდაციით მიმიღეს. ქვეყანა ჩემი მეგონა, მაგრამ მოულოდნელად ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა ჩემი მოუღლელი ჯიანეტა დეიდა, თავისი სამაჭანკლო ვარიანტებით.

- ახლა მორჩა, უნდა გათხოვდე შენე. არ გამაგონო არაფერი, იცოდე. გადასარევი ბიჭი მყავს აგერ ჭიათურაში. პოლიკლინიკაში მუშაობს ექიმად, კაი ოჯახის შვილი და ყველაფერი, ჭკვიანი და განათლებული. პატარა გოგო აღარა ხარ, შვილო, და... რა გინდა მეტი? ბინა კი არა აქვს თბილისში, მარა ჯერ ეს გეყოფათ. მერე იმისთანა კაი დედ-მამა ჰყავს, არ დაგტოვებენ ისე. თქვენც იმუშავებთ, შვილო და ყველაფერს შეიძენთ, აბა, - მომაშტერდა შორეული დეიდა.

- ყველაფერი მაქვს, ჯიანეტა დეიდა. აღარაფერი არ მინდა, მითუმეტეს ქმარი, - ვუთხარი და თავი ჩავღუნე.

- სუ, გოგო, არავინ გეიგონოს! რას ქვია, ქმარი არ გინდა, გლახა ხო არა ხარ. იმისთანები თხოვდებიან, გულზე შემეგეყრება. შვილიც არ გინდა? შენი ჯავრი ჩაჰყვა საცოდავ დედაშე-ეე-ნს!. სულ მეუბნებოდა, იქნება კაი ბიჭი ნახო ვინმეოოო. შენი ხათრი აქვს და უარს ვერ გეტყვისოოო. მე ეჟვანი ვერ შევაბიოოო... - დაიწყო ბერეტიანი თავის ქნევა დეიდაჩემმა და რომ არ გავგიჟებულიყავი, შევპირდი, ჰო, კარგი, მოვიფიქრებ-თქო.

- მეიფიქრებ კი არა, აგერა მყავს ბიჭი მოყვანილი და ახლავე დოურეკავ რო შემოვიდეს. მათხოვე მობილური, - ისე საქმიანად გამომიწოდა ხელი ჯიანეტა დეიდამ, თითქოს, დიდი შეთანხმებისთვის მიგვეღწიოს, მაგრამ როგორც კი შემატყო, რომ მღელვარებისგან სახე მომეღრიჯა, მაშინვე ჩამბღუჯა და ასლუკუნდა, - არ შეხტე და შემოტრიალდე ახლა, გოგო, შენსავით. ჩემ ჭაღარას მაინც ეცი პატივი. ხო იცი, შენთვის კაის მეტი არაფერი მინდა. მერე მადლობას მეტყვი, იცოდე. შენი ჯავრი ჩაჰყვა საცოდავ დედაშე-ეე-ნს... - მერე აღარაფერი გამიგონია, თურმე, გული წამსვლია და დივანზე გადავვარდნილვარ.

თვალი რომ გავახილე, შუბლზე ცივი ტილო მედო, ერთი ხელი კმაყოფილ ჯიანეტას ეჭირა, მეორე იმას. უხერხულად შევიშმუშნე, მაგრამ ჯიანეტამ "დამამშვიდა", ნუ გეშინია, სუყველა შინაურები ვართო. იმან კი სიცილით მკითხა, თავს როგორ გრძნობო. შესახედაობით არა უშავდა. ენაც, როგორც ჭიათურაში იტყვიან, პირსახოცივით ჰქონდა მხარზე გადაკიდებული და ისე დამაჯერებლად საუბრობდა, თითქოს, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ყოფილიყოს. ჯიანეტამაც აუბა მხარი, ამისთანა პატრონი მინდოდა შენთვისო, ეს რომ არ ყოფილიყო, ახლა რა გვეშველებოდაო და...ერთი სიტყვით ისეთი ვალი დამადო, რომ სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, ყრუ-მუნჯივით გავყევი.

თავიდან არაუშავდა. მე ჩემთვის ვმუშაობდი, ის ყოველ მესამე დღეს მიდიოდა ჭიათურაში სამორიგეოდ და პრობლემა არ გვქონია, მაგრამ, პირველად რომ გულის რევის შეგრძნება დამეუფლა, იქიდან დაიწყო ყველაფერი. ქმარი ველარ მტოვებდა და ჭიათურაში სამსახურს თავი დაანება. ცხადია, თბილისში პროფესიით ვერაფერი იშოვა და ერთ გაზეთში დაიწყო მუშაობა სპორტულ მიმომხილველად. მართალია, ეს საქმე ექიმობაზე უფრო მეტად ეხერხებოდა, მაგრამ მის შემოსავალს არ ეტყობოდა. საქმეს კი ისიც ამძიმებდა, რომ ჩემი გაჟურნალისტებული ქმარი ტოტალიზატორის მუდმივი კლიენტიც გახდა და ნახევარს თუ არა, მეოთხედ ხელფასს მაინც აგებდა ყოველ თვეში.

მუცელის გაზრდა ჩემთვის მეორე დარტყმა იყო. სამსახურში მენეჯერმა დამიბარა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ჯერ იძულებით დამაწერინა განცხადება უშტატოდ გადასვლასთან დაკავშირებით, შემდეგ მცირევადიანი ხელშეკრულება გამიფორმა და ბოლოს დამითხოვა. დავკარგე დაზღვევა და დავრჩი ჩემი ქმრის 350 ლარისა და ჯიანეტას დანაპირების ამარა.

პირველი კონსულტაცია პირველი შოკი იყო ჩემთვის. შევაღე თუ არა შეუღებავი კარი, მეცა ერთი მსუქანი თეთრხალათიანი ქალი, გადამეღობა და ყველაფერი გამომკითხა. მერე ერთ კარებში შემაგდო, ნარგიზა ექიმო პაციენტი მოგიყვანეთო. დაბრძანდით, გენაცვალეო, მიმითითა სკამზე ნარგიზამ და თავიდან გამომკითხა ყველაფერი. მერე სერიოზულად გადმომცა, რა მეკუთვნოდა კონსულტაციაში უფასოდ - ოთხი ვიზიტი, ორიოდე ანალიზი და მორჩა.

- მაგის მერეც თუ ექიმი დამჭირდა? - ვკითხე შეშინებულმა.

- აუცილებლად დაგჭირდებათ და ყველაფერი თქვენი გადასახდელი იქნება, - გაოცებულივით შემომხედა ნარგიზამ. მერე კი, თითქოს, უცებ გაახსენდაო, მკითხა, - მოიცა, და, დაზღვევა ხომ არა გაქვს?

- არა, არა, ცოტა ხნის წინ გამათავისუფლეს და დაზღვევაც დავკარგე, - ვუპასუხე დაღონებულმა.

- აბა, ჩემო კარგო, დამატებითი ვიზიტები კი არა, მშობიარობაც შენი გადასახდელი იქნებაა, - სინანულით დამიქნია თავი ექიმმა.

- როგორ მშობიარობაც? აბა, რაღაც პროგრამა არისო? - ვკითხე გულშემოყრილმა.

- არაფერი დახმარება აღარ არის. ადრე იყო ვაუჩერი, პოლისი, სახელმწიფო დახმარება. წელს აღარაფერი აღარ არის. ყველაფერი მოხსნილია, - აგრძელებდა თავის კანტურს ნარგიზა, - ასე რომ, ათასი ლარი მაინც უნდა შეაგროვო. ნაკლებად ვერ იმშობიარებ.

- სულ არაფერი? შეუძლებელია! - შევძახე სასოწარკვეთილმა.

- ერთადერთი შეგიძლია მიმართო გამგეობას თხოვნით, რომ უმწეოთა პროგრამაში ჩაგსვან, მაგრამ თუ, ასეთუ ისე, ნორმალურად ცხოვრობ და უბრალო საოჯახო ტექნიკა მაინც გაქვს, არაფერი გამოგივა.

- მაქვს.

- ხომ ხედავ? სცადე მაინც, - დაამთავრა თავის ქნევა ნარგიზამ.

ვცადე. დავწერე განცხადება და მითხრეს, ერთი თვის განმავლობაში სოციალური აგენტი მოგაკითხავთო. ერთ მშვენიერ დღესაც მოვიდა, ყველა ოთახი და სათავსო შემოიარა, მაგიდასთან დაჯდა, ანკეტა ამოიღო და ყველაფერი გამომკითხა, ქონებასთან და შემოსავლებთან დაკავშირებით. ვუთხარი, ორი ადამიანი 350 ლარზე ვცხოვრობთ და დახმარება ნამდვილად მეკუთვნის-თქო, მაგრამ მან იმედი გადამიწურა.

- დახმარების შანსი მაინც არა გაქვთ, - ეს ისე მითხრა, თითქოს ჩემი გულისთვის თავგანწირული ადამიანი მელაპარაკებოდეს, რომელსაც, სამწუხაროდ, არაფერი გამოუვიდა.

- რატომ? - ვკითხე შეშფოთებულმა.

- ქალბატონო, ანკეტაში ხდება შემოსავლებისა და ქონების აღწერა. თითოეულ პუნქტს თავის ქულა ეწერება. ქულები ძალიან დაბალი უნდა იყოს, რომ დახმარება მიიღოთ. თქვენ კი ცხოვრობთ კარგად გარემონტებულ ბინაში, გაქვთ საოჯახო ტექნიკა, ცენტრალური გათბობა. ასე სამჯერ მეტი ქულა გამოგივათ.

- კი, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემმა ძმამ მიყიდა.

- სამწუხაროდ, ამის გათვალისწინება შეუძლებელია.

- აბა რა ვქნა? საშველი არ არის?

- ასე ნუ ღელავთ, ქალბატონო, ყველაფერი მოგვარდება, აი, ნახავთ, - დამამშვიდა აგენტმა და წავიდა.

- რა მოგვარდება!? - შევიცხადე მისი გაცილების შემდეგ და ისეთი ღრიალი მოვრთე, მეგონა, არასოდეს დავწყნარდებოდი, მაგრამ ჩემმა პატარამ ერთი მაგრად მდრუზა და უცებ მომაკეტია. მეორე დარტყმის მოლოდინში სავარძელში ნელ-ნელა ჩავიკეცე. კიდევ კარგი დაჯდომა მოვასწარი. მოაყოლა და მოაყოლა. მუცელი მატკინა, მაგრამ, როგორც კი წარმოვიდგინე ეს ერთი ციცქნა არსება ფეხებს როგორ იქნევდა და მირტყამდა, სიცილი ამიტყდა.

მეორე დღესვე დავურეკე ჯიანეტას და კატეგორიულად მოვთხოვე, მოეძებნა ისეთი ბებიაქალი, რომელიც ოჯახში მამშობიერებდა. ჩემს ქმარს კი გამოვუცხადე, რომ სამშობიაროდ ჭიათურაში ვაპირებდი წასვლას. ვაჰ, შენ გენაცვალე, ბუნებას დავუბრუნდეთო, მითხრა ტაშის ცემით. მშობიარობის დროც მოახლოვდა და წავედით. ჩემი დედამთილ-მამამთილი და ჯიანეტა გადარეულები დამხვდნენ. რა გვჭირს მაგის ფასი, რომ სახლში გამშობიაროთ, ხალხი რას იტყვისო. მევედრებოდნენ, აქვე მოვაგვარებთ ყველაფერსო, მაგრამ ქვა ავაგდე და მუცელი შევუშვირე. ჩემი ქმარიც გვერდში დამიდგა, აგერ არ ვარ, რათ მინდა სამშობიაროო.

ერთი სიტყვით, ამტკივდა, მაგრამ, რა ამტკივდა. ღამეა, თოვს, ბარდნის. მე ვყვირი. ჩემი ქმარი და მამამთილი თავის ჟანგიან ვოლგას ვერ ქოქავენ, რომ ბებიაქალი მოიყვანონ. დედამთილი ჩემი მოსაბრუნებელი გახდა. როგორც იქნა დაქოქეს და დაძრეს, მაგრამ ბავშვიც დაიძრა და ფეხზე კივილით წამოვვარდი. ვაიმე, მოდის, მოდის, მიშველეთ-თქო. საცვალი გავიხადე, ფეხები გავჩაჩხე და ხელები მუცელზე შემოვიხვიე. დედამთილს მოერედ წაუვიდა გული. იმის შიშით, რომ ტკივილისგან არ წავქცეულიყავი, კედელს შუბლით მივეწებე. მერე ტკივილმა ისე მომიარა, თითქოს მუცელი თავ-მკერდს მოაგლიჯესო და ერთ ძარღვზე ჩამოკიდებული მოქანავე დატოვესო. მუცელს უფრო მაგრად მოვუჭირე ხელი, მაგრამ ვერაფერი ვუშველე, ის ძარღვი მაინც "ჩაწყდა" და ჩავიკეცე. პირველი გრძნობა, რაც ამის შემდეგ დამეუფლა, იყო სითბო, რამაც ფეხები გამოთბო და სასიამოვნო ჟრუანტელიც მომგვარა. შემეშინდა, როცა თვალი გავახილე და ფეხებს შორის სისხლიანი სხეული დავინახე, მაგრამ უცებ მოვედი აზრზე, რომ ეს ჩემი შვილი იყო და სიხარულმა ამიტანა. მერე ისევ შემეშინდა, ხომ არაფერი მოუვიდა-თქო და გულის ფეთებით გადმოვაბრუნე. ხელისგულებზე მისი გულის ხშირი ბაგა-ბუგი რომ ვიგრძენი, სიხარულით კინაღამ ჩემი გული ამომივარდა საგულედან. სახეზე ნელ-ნელა გადავუსვი ხელი, სისხლი მოვაცილე და პაწაწკუნტელა საყვარელი სახე ფრთხილად მივიხუტე. ამ პაწაწა არსებამ მთელი სხეული გამითბო, ძალაც შემმატა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე გატრუნულები, ჩამჯდარ-ჩახუტებულები. თითქოს, ჩამთვლიმა კიდეც, რომ პაწიამ ტირილი ამოხეთქა. ამაზე დიდი ხმა არასოდეს გამეგონა. ვიფიქრე, მთელმა არე-მარემ გაიღვიძა-თქო და დედამთილისკენ გავიხედე. ისიც წამოვარდა, უიმე ჩემი სიკვდილი, უიმე ჩემი სიკვდილის ძახილით, ტირილ-სიცილით და წამოდგომაში დამეხმარა. მერე ორივე ჩაგვაწვინა და ბავშვისთვის სუფთა ზეწარი მოარბენინა, მაგრამ ჩემი ბიჭი უკვე ძუძუს წოვდა და ბებიასთვის აღარ ეცალა. ოთახში შემოვარდნილ ჩემს ქმარსა და ბებიაქალს ჭიპლარის მოჭრაღა დასჭირდათ.

# ქართული სახელმწიფოს გაძლიერება

## ეროვნულ ძალთა ერთიანობით მიიღწევა

აკაკი ფანჩულიძე

საქართველოს 18-წლიანი დამოუკიდებლობის გზაზე მიზანმიმართულად და გაუთვითცნობიერებლადაც ბევრი რამე კეთდებოდა იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფო არ გაძლიერებულიყო.

**არაერთხელ თქმულა და კიდევ მრავალჯერ ითქმება, რომ რუსული სცენარით 90-იანი წლების პირველ ნახევარში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებზე განხორციელდა ტერორი, მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი, ეთნიკური დაპირისპირება, ტერიტორიების ჩამოცილება, ასეულ ათასობით ადამიანის საკუთარ სახლში ლტოლვილად ქცევა, სტრატეგიული ენერგეტიკული ობიექტების აფეთქებები და სხვა.**

**შემდგომ პერიოდში რუსეთმა საქართველოსათვის გაამკაცრა სავიზო რეჟიმი, საკუთარი ბაზრიდან გააძევა ქართული პროდუქცია და ათასობით ქართველს დეპორტაცია გაუკეთა საკუთარ სამშობლოში.**

რუსულმა პოლიტ-ელიტამ 2008 წელს საქართველოში შექმნილი სიტუაცია ბოლო 17 წლის განმავლობაში ჩათვალა მისი მიზნების განხორციელებისათვის ყველაზე შესაფერის მომენტად იმ იმედით, რომ ქართული საზოგადოება ზურგს შეაქცევდა საკუთარ ხელისუფლებას და საქართველო მყისიერად გადახტებოდა რუსულ პოლიტიკურ ორბიტაზე - გახდებოდა რუსეთის სატელიტი ქვეყანა.

**ადვილი მისახვედრია 2008 წლის ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში პროვოკაციულად რატომ იბომბებოდა სამაჩაბლოს ქართული სოფლები, რატომ არაფერს აკეთებდნენ რუსი სამშვიდობოები სეპარატისტების ბანდფორმირებების შესაჩერებლად, რატომ აცხადებდა სამშვიდობოთა გენერალი კულახმეტოვი, რომ ის უძლური იყო, რატომ დაიცალა ივლისის თვეში მთელი ცხინვალი, რატომ შემოდიოდა ათეულ-ათასობით რუსი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა როკის გვირაბიდან და რა ზრახვები ამოძრავებდა შემდეგ თბილისისაკენ დაძრულ რუსულ სამხედრო შენაერთებს.**

რუსულ აგრესიას დროულად აღუდგა წინ ქართული საჯარისო ფორმირებები, ქართული საზოგადოება და მიუხედავად პეკინში ოლიმპიადის მსვლელობისა, მთელი ცივილიზებული სამყარო.

რუსეთმა თავისი ზრახვები ვერ განახორციელა, მაგრამ სახელმწიფოებად სცნო სეპარატისტული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ქართული აგრესიისაგან ვითომ მათი დაცვის საბაბით საჯარისო ფორმირებები განალაგა საქართველოს ამ ძირძველ ტერიტორიებზე.

**გაერთიანებული ერების, ევროსაბჭოს, ევრო კავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ტრიბუნებიდან არაერთხელ თქმულა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეგრეთწოდებულ სახელმწიფოებს ცივილიზებული მსოფლიო არასოდეს არ სცნობს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები მუდამ საქართველოს იურისდიქციაში შემავალ და მის განუყოფელ ნაწილად დარჩება. საქართველო მათ შესაბამის დროს და შესაბამის ვითარებაში მშვიდობიანად დაიბრუნებს.**

რუსეთი ევროპის მიმართ ენერგო შანტაჟისა და თავის ხელთ არსებული ყველა სხვა ბერკეტების საშუალებით იბრძვის, რომ საქართველომ ვერ შეძლოს ევროატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრება და "ნატოში" გაწევრიანება.

**რუსულმა პოლიტელიტამ საქართველოსთან ყველა შემორჩენილ "ხიდს" დაუდო ნაღმი და ააფეთქა. მათ არაფრად ანაღვლებთ ერთმორწმუნეობა და ის კულტურული ღირებულებანი, რომელიც 200 წლის პერიოდში ერთმანეთთან გვაკავშირებდა.**

რუსეთის ხელისუფლებამ მთლიანად გაიშიშვლა თავი, დაგვანახა საკუთარი რეალური სახე, მან მთლიანობაში გაითავისა რუსეთის "ცარისტული" მისწრაფებები და კომუნისტური ხედვები.

ჭეშმარიტი ქართველი ვერც ერთს და ვერც მეორეს მენტალურად ვერ ეგუება, რადგანაც ქართველი ფსიქოლოგიურად ინდივიდუალისტი-ლიბერალი და დემოკრატია, ის შორს არის შოვინისტური სწრაფვისაგან. ისტორიულად ქართველი არ ფიქრობდა დაემონებინა სხვა ერი და ებატონა მასზე. თვით ჩვენმა უდიდესმა მეფემ დავით აღმაშენებელმა ისეთი სახელმწიფო შექმნა, სადაც ხელს უწყობდა მაჰმადიან მეცნიერებს, ფილოსოფოსებს, პოეტებს. ქართულ სახელმწიფოში თავისუფლად ცხოვრობდა ოსი, სომეხი, აფხაზი, ებრაელი და სხვა მრავალი ერის წარმომადგენელი. ასეთი დამოკიდებულება არ ყოფილა ჩვენი ისტორიის ერთი და მცირე პერიოდისათვის დამახასიათებელი. თამარის ეპოქაში ჩვენ უფრო წინ წავიწიეთ და სამოქალაქო საზოგადოების ელემენტებიც კი შევქმენით.

მსოფლიომ იცის, რომ ქართველები ვამაყობთ ტოლერანტობით და მიგვაჩნია, რომ მომავალში მხოლოდ ეს ღირებულება იქნება მრავალეთნიკური ქართული სახელმწიფოს სიძლიერის და წარმატების გარანტი.

**რუსულ პოლიტ-ელიტას და რუსული შოვინისტური იდეოლოგიის განვითარებისათვის მომუშავე ინსტიტუტებს ბრწყინვალედ ესმით, რომ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებით რუსეთს მთელს კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში შეექმნება პრობლემები და მის დამპყრობლურ პოლიტიკას დაესმება წერტილი.**

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიმართ ისტორიულად იკვეთებოდა და იკვეთება ზესახელმწიფოების პრაგმატული ინტერესები. საქართველომ მის მიმართ ასეთი სწრაფვა დღეს აუცილებლად უნდა გამოიყენოს თავის სასარგებლოდ, პირველ რიგში ქართული სახელმწიფოს გასაძლიერებად.

რა თქმა უნდა, პრაგმატული ინტერესები ჩვენს გეოპოლიტიკურ არეალში გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, მაგრამ ეს პრაგმატულობა არ უკავშირდება: დაპყრობას, დამონებას, წართმევას და კოლონიად ქცევას.

**ამერიკა საერთაშორისო მშვიდობის გარანტორი სახელმწიფოა, ის დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ტერორიზმს და მსოფლიო თანამეგობრობისაგან ითხოვს თანადგომას.**

**ამერიკა არის ის ქვეყანა, რომელსაც ძალა შესწევს, შეაჩეროს რუსული აგრესია, როდესაც საჭიროა ესაუბროს რუსეთის ფედერაციის მთავრობას ურთიერთობათა "გადატვირთვაზე" და პარალელურად მისი მეგობარი ქვეყნის, საქართველოს შიდა საქმეებში ჩაურევლობაზე.**

ამერიკა არის ურყევი დემოკრატიის მრავალეთნიკური სახელმწიფო, სადაც პიროვნების ინდივიდუალიზმი და შესაძლებლობები მაქსიმალურად შეიძლება იქნას გამოვლენილი და რეალიზებული. ვინც კარგად იცნობს ამერიკას, ის აუცილებად დამეთანხმება, რომ თითოეული ამერიკელის პიროვნული თავისუფლების ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა რომელიმე მაღალგანვითარებული ქვეყნის მოქალაქისა.

რიგითი ქართველის ხედვები და მისწრაფებები: პიროვნული თავისუფლების, დემოკრატიის, ბიზნესის კეთების, ყოფითი პრობლემების, ეთნიკური და კონფესიური ტოლერანტობის, მეგობრობის, სტუმართმოყვარეობის შესახებ გასაოცრად ჰგავს რიგითი ამერიკელისას.

საქართველო, როგორც დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული თვითმყოფადი ქვეყანა, დღესდღეობით დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესების სფეროშია, მაგრამ ამ პროცესის ჰარმონიულ და კანონზომიერ განვითარებას, როგორც ვთქვით, ხელს უშლის რუსული იმპერიული ზრახვები და აგრესია.

საზოგადოებისათვის ხშირად ბუნდოვანი და გაუგებარია ის მიდგომები, რომლებსაც ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი აყალიბებს, იმ ფუნდამენტურ ღირებულებათა საწინააღმდეგოდ, რომელმაც ქართული სახელმწიფოს ევროატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრება და "ნატოში" შესვლა უნდა უზრუნველყოს.

**ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერების იდეას პირდაპირ ეწინააღმდეგება მოწოდებები ალტერნატიული პარლამენტის შექმნის შესახებ, რადგანაც ამით ხდება ორ ხელისუფლიანობის პროვოცირება, მიუღწეველ სახელმწიფო ნეიტრალიტეტზე საუბარი და დამპყრობელ რუსეთისთვის კვლავ იმ ფსევდო ისტორიული მისიის დაკისრება, რომელსაც ვითომ საქართველოს გაერთიანება და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა უნდა.**

პარალელურად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღეს-დღეობით კვლავ "თბილისური ფორმატით" ვითარდება საზოგადოებისათვის მოწოდება საპროტესტო აქციებზე გამოსვლის მიზნით.

**რადიკალური ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი უკვე ყოველგვარი შეფარვის გარეშე სტუმრობს მოსკოვს მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.**

რუსეთში უკვე "დაფრთიანებულები" არიან დიდი ფულის მქონე თანამედროვე "სერგო ორჯონიკიძეები", რომლებიც მზად არიან რუსული სპეც-სამსახურების მიერ 1921 წლისა და 1992 წლების გამოცდილებით დაწერილი ახალი სცენარის მიხედვით საქართველოსაკენ გამოსალაშქრებლად. მათთვის მთავარია საქართველოში შეიქმნას სათანადო ფონი, ამისათვის კი ალბათ სულ ცოტა ხანში "რევკომების" შექმანზე დაიწყება პირდაპირი მოწოდებები.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით და საკუთარი ძალებით უკვე შეძლო თავიდან აეცილებინა 2008 წლის რუსეთის პირდაპირი აგრესია, შემდეგ მუხროვანის აჯანყებისა და საყოველთაო დაუმორჩილებლობის გათამაშების მცდელობით თბილისში რუსული ტანკების შემოგორება. ქართული სახელმწიფო დღეს უკვე იმდენად ძლიერია, რომ საკადრის პასუხს გასცემს ყველა ჯურის და წარმომავლობის აგრესორს.**

**საზოგადოებამ კარგად უნდა გააანალიზოს და სათანადო შეფასება მისცეს იმ ფაქტს, თუ რატომ გამოდიოდა გაერთიანებული ოპოზიცია რამოდენიმე პარტიული ლიდერისა და პოლიტიკოსის დაჟინებული მოთხოვნით 2007-2008 წლებში მხოლოდ ნეგატიური მოწოდებით - "საქართველო პრეზიდენტის გარეშე" და კატეგორიულად რატომ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე საუბარს.**

გაერთიანებულ ოპოზიციას ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ მივმართე წერილობით (2007 წელი 5 დეკემბერი, წერილი ჩაიბარა "ლევან გაჩეჩილაძის პროგრამის ძირითადი მიმართულებები"-ს კოორდინატორმა, წერილის ასლზე არის კოორდინატორის ხელმოწერა და სიტყვა "ჩავიბარე").

ვწერდი - ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი მიდგომები: მოქალაქეთა სიღარიბის დაძლევის, პენსიების გაზრდის, მდგრადი მართვის სისტემების დანერგვის, სახელმწიფო დაბეგვრის - ლიბერალური პოლიტიკის შემოღების შესახებ.

აგრეთვე როგორც სპეციალისტმა, მოვითხოვე პროგრამის ძირითადი მიმართულების პროექტიდან ამოგველო გაუგებარი ჩანაწერი "საქართველოს ეკოლოგიური სისუფთავის დაცვა" და ჩაგვეწერა "გარემოს დაცვა მდგრადი განვითარებისათვის" და სხვა.

არც ერთი თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. ლოზუნგი "საქართველო სიღარიბის გარეშე" შემდეგ კარგად გამოიყენა ნაციონალურმა მოძრაობამ, ხელისუფლებამ ბიზნესისათვის მნიშვნელოვნად შეამცირა საერთო საგადასახადო ტვირთი და გაზარდა პენსიები.

საპარლამენტო არჩევნებზე გაერთიანებული ოპოზიცია (რამდენიმე პარტიის გამოკლებით) კვლავ იგივე მოთხოვნით გავიდა და საპარლამენტო არჩევნებს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური უწოდა.

**გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭოს სხდომებზე იბლოკებოდა ყოველგვარი მცდელობა პროგრამის შემუშავების მიზნით. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ პოზიციას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ბატონი გია თორთლაძე.** მახსოვს, წინასაარჩევნო პერიოდში ბაღდათის რაიონში სოფელ ხანში ერთი ქალბატონი მოვიდა და მითხრა, "შვილო, მე მაინტერესებს რას გვპირდებით ოპოზიცია, როგორ უშველით ჩემი ოჯახის გაჭირვებას, რას გააკეთებთ იმისათვის, რომ ჩემი შვილები დასაქმდნენ, მე არ მინდა ჩემმა შვილიშვილებმა მშივრებმა იარონ სკოლაში". ჩვენ უძლურნი ვიყავით, ლოგიკური პასუხი გაგვეცა ამ ქალბატონისათვის.

**ნეგატიური პოლიტიკა 2009 წელსაც რადიკალური ოპოზიციის მთავარ სამოქმედო იარაღად იქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ 2009 წელს მიღებულ ქარტიაში არ ასახა 2007 წლის 17 ოქტომბერს მიღებული საგურამოს მანიფესტის მნიშვნელოვანი მოთხოვნები: "ნატო"-სთან თანამშრომლობა, ლუსტრაციის კანონის მიღება და მოწოდება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორია განთავისუფლებული უნდა იქნას რუსეთის სამხედრო კონტინგენტისაგან. მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული პარტიის არაერთი მცდელობისა, რადიკალურ ოპოზიციას რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციებზე გაეჟღერებინა რუსული აგრესიის თემა და რუსული საჯარისო ფორმირებების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების შესახებ საპროტესტო მოთხოვნა - უშედეგოდ დასრულდა, რამაც საბოლოოდ მათ მიმართ საზოგადოების უდიდესი ნაწილის უნდობლობა გამოიწვია.**

საზოგადოებისათვის გაუთვითცნობიერებლად რუსეთის მხრიდან ჯერ კიდევ ბევრი ფარული ნაღმია ჩადებული საქართველოში. **ისინი, ვინც საქართველოს მხოლოდ საპარლამენტო მმართველობის ქვეყნად მოიაზრებენ და პრეზიდენტის მმართველობის ინსტიტუტის გაუქმება სურთ, კარგად უნდა დაფიქრდნენ, რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამას.**

"საქართველოს დემოკრატიული პარტიისათვის" ასეთი მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია, რადგანაც ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ შეიძლება მოლდოვაზე უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ და საერთოდ წაიშალოს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

**საქართველოში პრეზიდენტი უნდა აირჩიოს ხალხმა და ის უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური. პრეზიდენტი უნდა იყოს "მკაცრი არბიტრი" და გააჩნდეს რეალური ძალაუფლება. ის უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ყველაზე დიდი გარანტი.**

რუსეთის სპეც-სამსახურები და როგორც ჩანს საქართველოში მოქმედი არც თუ ისე მცირე რიცხოვანი მისი აგენტურა ყველა შესაძლებლობებით ცდილობს საზოგადოების ცნობიერების პოლარიზებას. მათი ძირითადი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ საზოგადოებაში გაბატონდეს აზრი: ქართველ ერს რუსეთის გარეშე არსებობა არ შეუძლია, რომ ქართული სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ ამას რუსეთი მოინდომებს, რომ "ძალა აღმართს ხნავს" და ა.შ.

**"საქართველოს დემოკრატიული პარტია" გამოდის ინიციატივით - იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ ქართული სახელმწიფოს გაძლიერება, საჭიროა განვახორციელოთ რამოდენიმე ღონისძიება: მივიღოთ კანონი "ლუსტრაციის შესახებ", დავასრულოთ 1991-1993 წლების პოლიტიკური მოვლენების შესახებ გამოძიება და საქართველოში ანტიტერორისტული მოქმედებების ეფექტურად განხორციელების მიზნით მივიღოთ საკანონდებლო პაკეტი.**

**"საქართველოს დემოკრატიული პარტია" მოუწოდებს იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და პოლიტიკოსებს, ვინც მკაფიოდ დაინახა, თუ რა მეთოდებით ახორციელებენ ძირგამომთხრელ საქმიანობას რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში, არა აქვს მნიშვნელობა ეს არის სახელისუფლებო, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზოციური პარტიები, ისინი უნდა გაერთიანდნენ ერთი იდეის ირგვლივ, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვა ჰქვია.**

**მსოფლიო საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა დაინახოს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ ბრძოლაში რეალურად ეყრდნობა ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა ერთობას და საზოგადოების უდიდესი ნაწილის აბსოლუტურ მხარდაჭერას. ამავე დროს ქართული სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით ხელისუფლება დგამს რეალურ ნაბიჯებს: დაბალანსების გზით აძლიერებს სახელისუფლებო შტოებს, ახორციელებს სასამართლო რეფორმას, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და მიუკერძოებელ არჩევნებს, ეფექტურს ხდის მუნიციპალურ მმართველობას და შეუქცევადს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.**

*აკაკი ფანჩულიძე არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი, საქართველოს ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი.*

## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ “2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დაფინანსების ფარგლებში ქ. დედოფლისწყაროს კვლევითი ცენტრის გარე კომუნიკაციების, გათბობის და წყალმომარაგების სისტემების, ასევე გარე ელექტრომომარაგების მონტაჟის და გაზიფიცირების სამუშაობის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს “დაგი”.

## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2009 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში საწვავის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია”.

03 დეკემბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “დავების განმხილველი ცენტრი”
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი “რესპუბლიკა”-ს საარბიტრაჟო პრეტენზია აბელ შონიასა და ნესტორ გიგინეიშვილის მიმართ, საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და მოპასუხეებზე **2 033.85 + 386.35 ლარის, ჯამში 2 420,2 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით საარბიტრაჟო სხდომა დანიშნულია 2009 წლის **11 დეკემბერს 13:00** საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟში შპს “დავების განმხილველი ცენტრში”, შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები **აბელ შონია,** მის: მცხ: ფოთი, ჩხეიძის N6; რეგ. მის: ხობის რაიონი, სოფელი ბია; და

**ნესტორ გიგინეიშვილი,** მცხ. ფოთი, გეგიძის ქ.N7/69;

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის განცხადება

დაინტერესებულ მხარეებს ვაცნობებთ რომ მომზადებულია ქ. რუსთავის მუნიცაპალური ნაგავსაყრელის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

დოკუმენტის ვერსიის ნახვა შესაძლებელია ქ. რუსთავის ვებგვერდზე (WWW. rustavi.ge), ხოლო ნაბეჭდი ვერსიის გაცნობა შესაძლებელია:

1. ქ. თბილისი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ლიცენზიებისა ნებართვების სამსახური
მის. გულუას ქ. N6 ტელ. (832) 72 72 60

2. ქ. რუსთავი მერია, ურბანული დაგეგმარების სამსახური, ოთახი N40
მის. ქ, რუსთავი, კოსტავას ქ. N20 ტელ. (824) 12 44 99

3. ქ. გარდაბანი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
მის. აღმაშენებლის N127, ტელ. (827) 22 27 22

შენიშვნებისა და კომენტარების მიღების ვადებია
04.12.2009წ.————18.01.2010წ. -მდე

დოკუმენტების საჯარო განხილვა მოეწყობა რუსთავის მერიის სააქტოდარბაზში 19.01.2010წ. 15 სთ-ზე.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი” DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით
DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი “რესპუბლიკა”-ს
საარბიტრაჟო პრეტენზია ომარ ხუფაცარიას, ჟუჟუნა ხუფენიას, ნუნუ ჩარგაზიას, ნელიკო კვარაცხელიას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 11 ნოემბერს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ “დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ომარ ხუფაცარია მცხ: ზუგდიდი, სოფ. ქითაწყარი, ჟუჟუნა ხუფენია მცხ: ზუგდიდი, ჯავახიშვილის N4, ნუნუ ჩარგაზია ზუგდიდი, სოფ. ჭითაწყარი, ნელიკო კვარაცხელია მცხ: ზუგდიდი, ცაბაძის ქ. N55.

## ქ. თბილისის, მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზების გასწორება

**2009 წლის 30 ნოემბრის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი N9 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

*ლოტი N 9*

***მიწის ნაკვეთის მისამართი -*** გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ(მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.11.05.013.035)

***გაცემის ფორმა -*** აუქციონი პირობებით;

***სარგებლობის ფორმა -*** საკუთრება;

***მიწის ნაკვეთის ფართობი -*** 4552კვ.მ;

***კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -***

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 35 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი “ბე” განისაზღვროს 63728 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.

United Nations Development Programme

UNDP Georgia

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამას პატივი აქვს

### გამოაცხადოს ტენდერი

### მანქანების შესყიდვაზე

დეტალური ინფომაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე www.undp.org.ge/new/tenders.html წინადადები უნდა ჩააბაროთ დალუქული კონვერტით გაეროს სახლში მოთავსებულ სპეციალურ ყუთში. კონვერტზე მიუთითეთ საკონტაქტო მონაცემები. გთხოვთ ჩააბაროთ თქვენი წინადადებები 2009 წლის 17 დეკემბერს 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: (995-32) 25-11-26. საკონტაქტო პირი: ნუნუკა ჭანტურია.

## ინფორმაცია საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკის სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული ტენდერის შედეგის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2009 წლის 10 ნოემბერს გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერი სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დასრულდა უარყოფითი შედეგით.

სატენდერო კომისიის აპარატი.

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 3 დეკემბერს გაზეთ - “24 საათში” საბავშვო მოედნის კომპლექტებისა და ურბანული ფურნიტურების შეძენის, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 01.01.2010-დან ხუთი თვე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

# განცხადება

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე**

**საოლქო საარჩევნო კომისია:**

| N | საოლქო საარჩევნო კომისიის N და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსია | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1 | №56 ჭიათურა | 1 | 400 |

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2009 წლის 4 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით. ქ.თბილისი, ალექსიძის №1.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. კანდიდატის 2 ფოტოსურათი;
2. განცხადება (ივსება ადგილზე);
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
4. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;
6. ავტობიოგრაფია ან CV;
7. არჩევნებში მონაწილეობის შრომითი გამოცდილების აღწერა (თუ აქვს).

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 21 წლიდან 65 წლამდე ასაკის პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 36 52 86

# განცხადება
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების, ქუჩებისა და ეზოების დაზიანებული ასფალტის საფარის კაპიტალური და ორმოებრივი შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 ლოტად:

კაპიტალურად შესაკეთებელია რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზებისა და ქუჩების 65082 კვ.მ. დაზიანებული ასფალტის საფარი, აქედან:

**ლოტი N1** - "მთაწმინდა, სოლოლაკი, ორთაჭალის" უბანი - 28125 კვ.მ.;
**ლოტი N2** - "ვერა, თამარ მეფე, აღმაშენებელის" უბანი - 15859 კვ.მ.;
**ლოტი N3** - "ქვედა ჩუღურეთი, ავლაბრის" უბანი - 21098 კვ.მ.

დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოებრივი შეკეთების სამუშაოები ჩასატარებელია 180000 კვ.მ. ფართობზე, აქედან:

**ლოტი N4** - "მთაწმინდა, სოლოლაკი, ორთაჭალის" უბანი - 72000 კვ.მ.;
**ლოტი N5** - "ვერა, თამარ მეფე, აღმაშენებელის" უბანი - 53000 კვ.მ.;
**ლოტი N6** - "ქვედა ჩუღურეთი, ავლაბრის" უბანი - 55000 კვ.მ.

შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 23 დეკემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების, ქუჩებისა და ეზოების დაზიანებული ასფალტის საფარის კაპიტალური და ორმოებრივი შეკეთების სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 24 დეკემბრის 12:00 საათიდან 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, მე-2 სართული, ოთახი N9.

7. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ლოტების შესაბამისად, ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. ტენდერში გამარჯვებულს ბიტუმი გადაეცემა უსასყიდლოდ.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

b) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

g) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

a) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

b) ინფორმაციას ბოლო პერიოდში ანალოგიურ სამუშაოთა ჩატარების შესახებ;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

d) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

e) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40; 877-15-88-38.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

**თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა**

**"ოფთალმიჯი"**

**ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით**

**სიახლე!**

**მნიშვნელოვანი ფასდაკლება კატარაქტის ოპერაციაზე**

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

## სატენდერო განცხადება

**ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა) ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს მრავალწლიან ტენდერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ქუჩების მიმდინარე (ფრაგმენტული) და ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე**. და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 13 (ცამეტ) ლოტად:**

**ლოტი N1 - გორის ქუჩა N21-დან N29-მდე** კაპიტალურად შეკეთება
**ლოტი N2 - სოხუმის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N3 - კაპანაძის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N4 -ზუგდიდის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N5 - ე. და ვ. ფიფიების ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N6 - ს. მეტრეველის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N7 - ხოშარაულის ქუჩაN27-თან მისასვლელი ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N8 - დავითაშვილის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N9 - ჭალადიდის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N10 - კიკვიძის ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N11 - რეხის დასახლების ქუჩების კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N12 - სამურზაყანოს ქუჩის კაპიტალურად შეკეთება**
**ლოტი N13 - რაიონის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ქუჩების მიმდინარე**
**(ფრაგმენტული) შეკეთება.**

**სამუშაოების მიწოდების ვადაა: - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 05 ოქტომბრამდე**.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქულ კონვერტში) ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 24 დეკემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 24 დეკემბრის 13:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ N7, II სართული, ოთახი N9.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

**4.** პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;

ბ) საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**5**. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.ბ, და 4.3.გ, პუნქტის მოთხოვნებისა.

**6**. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**7.** სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ქუჩების მიმდინარე (ფრაგმენტული) და ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (13 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.**

**8** .სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 04 დეკემბრის 11 საათიდან 2009 წლის 24 დეკემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩიღურეთის გამგეობა, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, მე-5 სართულზე, საფინანსო-ეკონომიკურ განყოფილებაში, გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**9**. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**10.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო კომპანიების მიერ, ) სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე.

**11**. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო კომპანიების მიერ) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე.

**12.** დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა?, დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირები;

მაია გოგოლაძე, პაატა პატარაია, თემური ოქრომელიძე ტელეფონი: 95.99.85, 95.76.21, 95.66.01,

**შენიშვნა:** ა) სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;

ბ) ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

გ) არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**სატენდერო კომისია**

## საქმე N2/5492-07
## განჩინება საქართველოს სახელით
## საჯარო შეტყობინების შესახებ
## 13 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე
მაკა ჭედია
**მოსარჩელე :** სს "საქართველოს ბანკი"
**მოპასუხე:** ჟუჟუნა ზაუტაშვილი.
**დავის საგანი**: საკრედიტო ხელშეკრულების მოშლა, დავალიანების დაკისრება, დაგირავებული ქონების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით რეალიზაცია.

განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჟუჟუნა ზაუტაშვილისათვის საჯაროდ შეტყობინების საკითხი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს "საქართველოს ბანკის" სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა

მოპასუხე ჟუჟუნა ზაუტაშვილს ვერ ბარდება სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი სასამართლო შეტყობინებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად Iთვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, ვინაიდან რომ ჟუჟუნა ზაუტაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, მას გადაწყვეტილების მიღების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ჟუჟუნა ზაუტაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს "საქართველოს ბანკის" სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

1.2. დაეკისროს მოპასუხე ჟუჟუნა ზაუტაშვილს სს 'საქართველოს ბანკის" სასარგებლოდ 100530 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდა.

1.3. დაეკისროს მოპასუხე ჟუჟუნა ზაუტაშვილს მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 4855 ლარის გადახდა;

1.4. დავალიანების დაფარვის მიზნიტ აუქციონზე საერალიზაციოდ მიექცა სს "საქართველოს ბანკის" სასარგებლოდ დაგირევბული ჟუჟუნა ზაუტაშვილის კუთვნილი მოძრავი ქონება(ძვირფასეულობა) და ჟუჟუნა ზაუტაშვილის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი სახლის 48/2325 ნწილი, მდებარე ქ.თბილისი ასათიანის ქუჩა N12 ბ.39.

1.5. განემარტოს მოპასუხეს რომ ამ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შემოტანა შეუძლია ამავე სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10(ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან მე-7 დღეს;

3. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩვირდება.

**მოსამართლე მაკა ჭედია.**

## განცხადება მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა , მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული შიდაკვარტალური ეზოების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია რაიონის ტერიტორიაზე არსებული შიდაკვარტალური ეზოების ასფალტბეტონის საფარის შეკეთება და ბორდიურების აღდგენა-მოწყობა;

შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერილობა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში (სატენდერო დოკუმენტაციაში)

2. მიწოდების ვადაა **2010 წლის 1 მარტიდან - 2010 წლის ბოლომდე.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სტენდერო წინადადებები ერთ დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 5 ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი და ოთხი ქსეროასლი) **24.12.09 წლის 1400 საათიდან 09.12.09 წლის 1430 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, II სართული, ოთახი N9.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:*

4.1 **იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

4.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

4.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

ბ) მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ თანდართული მანქანა-მექანიზმების საკუთრების და/ან იჯარით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

ე) ინფორმაციას მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, მ.შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

ვ) ინფორმაციას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში

წარმოებული ანალოგიური სახის მომსახურების შესახებ;

ზ) ცნობას მომსახურე საბანკო დაწესებულებებიდა მისი ფინანსური შესაძლებლობების შესახებ - პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანგარიშზე ფულადი სახსრები მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების მინიმუმ 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

შენიშვნა: საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების სუბკონტრაქტორებზეც (ასეთების არსებობის შემთხვევაში) სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთ დალუქულ კონვერტში წინამდებარე განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარდა 4.3. პუნქტის "ზ" ქვეპუნქტისა.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის და/ან სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშსეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო გატანა **200 (ორასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 18.11.09 წლიდან 09.12.09 წლის 1100 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა III სართული, გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის):

**ა/ა N 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურთალოს რაიონის) 300773174; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.**

7. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს ოდენობით.

9. საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ დაექვემდებარება სატენდერო წინადადებების ღირებულებითი პარამეტრები და საბანკო გარანტიის მონაცემები.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ჩხეიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-46-24; ვ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

